სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/11/2024

MES 6 24 0001414104

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ვადების განსაზღვრის შესახებ.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, „2024 წელს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აგვისტოს MES 4 24 0000982491 ბრძანების და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. აპლიკანტებმა, რომლებმაც 2024 წლის საშემოდგომო მიღებაზე პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების და შემოქმედებითი ტურის საფუძველზე მოიპოვებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლებას, 2024 წლის 05 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია (იხ. დანართი №1).

2. რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნეს შესაბამის ფაკულტეტზე (იხ.დანართი №2).
3. ბრძანების შესრულება დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.
5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
6. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ